

DIGITAL

ECOSYSTEM DIGEST

February 2023

ფინანსური ბაზარი

საქართველო - სტრუქტურა

და ძირითადი ტენდენციები



ფინტექ ანუ ფინანსური ტექნოლოგიების ბაზარი სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიაა მსოფლიოში. ის გულისხმობს ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ფინანსური მომსახურების მიწოდებას. აღნიშნული ინდუსტრია განვითარების საწყის სტადიაზეა საქართველოს ბაზარზე.


ამჟამად საქართველოში მოქმედებს „საქართველოს ფინტექ ასოციაცია“, რომელიც 2022 წლის მდგომარეობით აერთიანებდა 21 ფინტექ კომპანიას. მთლიანად ადგილობრივი ბაზარზე კი, ასოციაციის შეფასებით, 50-მდე კომპანია ოპერირებს. აგრეთვე, შეიმჩნევა საერთაშორისო მოთამაშეების მიერ ბაზრით დაინტერესების ტენდენცია, მათ შორისაა „პეისერა საქართველო“, რომელიც ლიტვური ფინტექ კომპანია Paysera-ს პარტნიორი და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული პირველი ციფრული ბანკია. ასევე, საქართველოში შემოსასვლელად ემზადება „United Payment“ - თურქეთის უმსხვილესი FaaS (Fintech as a Service) კომპანია.

ფინტექ მომსახურებების საქართველოს ბაზარზე გამოჩენამ აქტუალური გახადა თემის შესახებ ანალიტიკის არსებობის აუცილებლობა. ამ ტიპის ინფორმაცია ამ ეტაპზე მწირია. წარმოდგენილი ანგარიში მიზნად ისახავს ადგილობრივი ფინტექ ბაზრის შესახებ ფართო სურათის ჩვენებას მკითხველისთვის და მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- ფინტექ ბაზრის ზომის შეფასებები;
- განხილვა ტენდენციებისა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს ფინტექ ბაზრის განვითარებაზე;
- ადგილობრივი ფინტექ სტარტაპების დაფინანსების ანალიზი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ პროექტებზე დაყრდნობით.

ფინტექ ბაზარი საქართველოში

ფინტექ გადახდების ბაზრის მოცულობა და პროგნოზები (მლრდ. აშშ დოლარი)




*ბაზრის მოცულობა განისაზღვრება ციფრული გადახდებზე დაყრდნობით. აღნიშნული მოიცავს სამომხმარებლო გადახდებს ინტერნეტის საშუალებით და mPOS გადახდებს. B2B ტრანსაქციები და ტერმინალით გადახდები არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს ფინტექ ბაზარზე 2023 წლისთვის გადახდების მზრივ 18.6%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი

Statista-ს შეფასებით, 2023 წელს ციფრული გადახდების კუთხით, ფინტექ ბაზარი საქართველოში გადააჭარბებს 1 მილიარდ აშშ დოლარიან ნიშნულს, ხოლო 2027 წლამდე ასცდება 2 მილიარდ აშშ დოლარს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინტექ ბაზარი, გარდა გადახდებისა, ბევრ სხვა განსხვავებულ მომსახურებას მოიცავს, რომელთა ბაზრის მოცულობების შეფასება ჯერჯერობით პრობლემატურია.

ფინტექ ბაზარი საქართველოში

ფინტექ გადახდების ბაზრის ძირითადი სეგმენტები და მათი საპროგნოზო მოცულობა 2023 წლისთვის (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველოში ფინტექ გადახდების ბაზრის ორი ძირითადი სეგმენტია - ციფრული კომერცია და mPOS გადახდები, რომელთაგანაც ორივე მიმართულება სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდება (შესაბამისად 14.9% და 28.9% ზრდის ტემპის პროგნოზი 2023 წლისთვის). მათგან ციფრული კომერცია მოიცავს ყველა ტიპის სამომხმარებლო ონლაინ გადახდებს პროდუქტისა და მომსახურების მისაღებად, ხოლო mPOS შედარებით სპეციფიკური კატეგორიაა, რომელიც შეეხება ელექტრონული საფულით გადახდებს.

mPOS გადახდების* მოცულობა ფინტექ ბაზარზე




*მოიცავს ელექტრონული საფულით გადახდებს (მაგ.: ApplePay, Google Pay). არ ითვალისწინებს ფიზიკური ბარათით განხორციელებულ გადახდებს.

ფინტექ ბაზრის განვითარების ხედვითი ტენდენციები საქართველოში

ფინტექ მომსახურებების მიწოდების ზრდისთვის მნიშვნელოვანია ის დადებითი ტენდენციები, რომლებიც აჩვენებს ინტერნეტისა და ტექნოლოგიების გამოყენების სიხშირეს მოსახლეობისა თუ ბიზნესის მიერ ფინანსურ საქმიანობაში.

ინტერნეტით განხორციელებული ფინანსური ოპერაციების დინამიკა (მლრდ. ლარი)



2022 წელს ინტერნეტით საქართველოში:

შესრულდა 114,805,555 ოპერაცია


+16.4% წინა წელთან

გადაირიცხა 8,157,961,000 ლარი

+25.6% წინა წელთან

ფინანსური გაზრდის განხორციელების სტრატეგიები ტენდენციები საქართველოში

საგადახდო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების
მოცულობების წილი: ბანკომატი vs პოს-ტერმინალები & ინტერნეტი




*მოიცავს რეზიდენტი ემიტენტების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით ქვეყნის შიგნით განხორციელებულ ოპერაციებს. არ ითვალისწინებს არასაბარათო ოპერაციებს, მათ შორის პირდაპირ საბანკო გადარიცხვებს.

საბარათო ოპერაციების მოცულობის დიდი ნაწილი კვლავ ბანკომატზე მოდის, თუმცა მისი წილი მცირდება.

პოს-ტერმინალებიდან და ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციების მოცულობისა და რაოდენობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ბანკომატებიდან განხორციელებული ოპერაციების ზრდის ტემპს. შედეგად, ბანკომატების წილი ეტაპობრივად მცირდება და ფართოვდება არეალი ფინტექ ინსტრუმენტების გასავრცელებლად.

ფინტექ ბაზრის განვითარების ხედვითი თანდევნება საქართველოში

ინტერნეტ ბანკინგის ადგილობრივი მომხმარებლები* (ათასი ადამიანი)



* ვინც უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში გამოიყენა ინტერნეტ ბანკინგი.

ყოველი მეოთხე ინტერნეტმომხმარებელი იყენებს ინტერნეტ ბანკინგს




საქართველოში ინტერნეტ ბანკინგის მომხმარებელთა რაოდენობა 1 მილიონს უახლოვდება და 2022 წლისთვის ის ინტერნეტის მომხმარებელთა 41.3%-ს შეადგენდა.

მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ. გაანგარიშებები ეყრდნობა საქსტატის "შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის" მონაცემთა 2029-2022 წლების ბაზას.

ფინტექ სტარტაპების დაფინანსება საქართველოში

GITA-ს სტარტაპების თანადაფინანსების კონკურსში მონაწილე და გამარჯვებული სტარტაპების რაოდენობა 2020-2022 წლებში



2022 წელს 7-მა ფინტექ სტარტაპმა მიიღო GITA-ს სტარტაპების თანადაფინანსების გრანტი

ჯამში 2018-2022 წლებში ფინტექ ბაზრებთან დაკავშირებულ 17 სტარტაპი დაფინანსდა თანადაფინანსების პროგრამის ცხრა რაუნდის ფარგლებში (100000 ან 150000 ლარი). ფინტექ სტარტაპებისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა 2022 წელი.

აგრეთვე, ფინტექ ბაზართან ასოცირებული 4 კომპანია გვხვდება ინოვაციების თანადაფინანსების გრანტის (650 000 ლარი) გამარჯვებულად.

ინოვაციების თანადაფინანსების გრანტის მიმღები ფინტექ კომპანიები:

PAYZE


Kvalifika

KERNEL

CRYPTX

ფინანსური სტარტაპების დაფინანსება საქართველოში

გამარჯვებული ფინტექ სტარტაპები მიმართულებების მიხედვით, 2018-2022 წლები



* მოიცავს GITA-ს სტარტაპების თანადაფინანსების გამარჯვებულ პროექტებს.

გამარჯვებული სტარტაპები აქტიური პლატფორმით

გადახდები და კრიპტო სფერო

PAYZE

JustPay

CityPay.io

Bitnet

AM.BRY

დაზღვევა და სხვა ფინანსური სერვისები

Ganage

SkanySolutions

Data Mind

wrapstocks.


Ranko

მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ. გაანგარიშებები ეყრდნობა GITA-ს მიერ მოწოდებულ დაფინანსებული სტარტაპების ბაზას.


ფინტექ კომპანიების ზრდის აღვილობრივი მაგალითები

მიუხედავად ინდუსტრიის განვითარების საწყისი სტადიისა, უკვე არსებობს მაგალითები, როდესაც მოკლე დროში ფინტექ კომპანიები აფიქსირებენ შესამჩნევ ზრდას ფინანსური თუ არაფინანსური კუთხით.

ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დინამიკა (მლნ. ლარი)



ტრანზაქციების რაოდენობა (ათასი)



Citypay.io-ში ჩართული ბიზნესის რაოდენობა (ივლისი-დეკემბერი, 2022)

181 → 468

ბოლო წლებში ფინტექ ბაზარმა ბევრი განსხვავებული მიმართულებით დაიწყო განვითარება საქართველოში. თუმცა, მისი ერთიან ეკოსისტემად აღქმა კვლავ რთულია.

ინდუსტრია მზარდია, მაგრამ კვლავ ახალგაზრდა და ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორებიცაა: ბაზრის შესახებ ინფორმაციის სიმწირე, ინვესტიციების მოზიდვის სირთულეები, რიგი საკანონმდებლო ნორმების არარსებობა და ა.შ.

Digital Ecosystem Digest-ის მორიგი გამოცემები პერიოდულად დაუბრუნდება ფინტექ ბაზრის თემას და შემოგთავაზებთ სპეციფიკური მიმართულების ან პრობლემატიკის ანალიზს აღნიშნულ ინდუსტრიაში.

რა არის DIGITAL ECOSYSTEM DIGEST?

Digital Ecosystem Digest არის ყოველთვიური ელექტრონული კვლევითი ანგარიში, რომელიც გამოიცემა BTU-ს მეწარმეობისა და კვლევების ცენტრების ინიციატივით.

ანგარიში მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და ფარავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: სტარტაპები ციფრულ ბიზნესში, ელექტრონული კომერციის ბაზრები, ციფრული პლატფორმები (B2B, B2C ან C2C), ფინტექ ტექნოლოგიები და ა.შ.

ანგარიშის მიზანია როგორც არსებული ინფორმაციის კონსოლიდაცია, ასევე ახალი პრაქტიკული ცოდნის გენერირება ციფრული ეკონომიკის შესახებ. ყოველი თვის კვლევითი ანგარიშის თანავტორები იქნებიან სხვადასხვა მკვლევრები.

2023 წლის თებერვლის გამოცემის ავტორები არიან BTU-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი - ცოტნე ჟღენტი და ვახტანგ ჩქარეული, BTU-ს სტუდენტები - ანანო ჩალიგავა და მარიამ ნემსაძე.

DIGITAL

ECOSYSTEM DIGEST



ბიზნესისა და
ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი